ოლიმპიური სპორტული ლატარია-68

დღეს იწყება ბილეთების გაყიდვა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

№ 246 (3476)

20 დეკემბერი, ოთხშაბათი. 1967 წ.

ფასი 3 კაპ.

გამოცემის 24-ე წელი.


ЦЕНТРАЛЬНЫЙ СОВЕТ СОЮЗА СПОРТИВНЫХ ОБЩЕСТВ И ОРГАНИЗАЦИЙ СССР
Лотерейный билет
ОБРАЗЕЦ
000
00000
ТИРАЖ в г. МОСКВЕ В ИЮЛЕ 1968 г.
СТОИМОСТЬ БИЛЕТА 1 ОДИН РУБЛЬ
1968

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები!

იღბლიანი ბილეთი, და თქვენ გაემგზავრებით ბერლინში, პრაღაში, სოფიაში, ბელგრადში... ეს საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრებათა ქალაქებია...

ლატარია — ეს არის ახალი სტადიონები და მოედნები, საცურაო აუზები, ტურისტული ბაზები.

ლატარიის შემოსავლის 40 პროცენტი სწორედ ამ საშვილიშვილო საქმეს მოხმარდება.

სულ გამოშვებულია 50 მილიონი მანეთის ბილეთი. თვითეული ბილეთის ღირებულება 1 მანეთია. ლატარიის ბედნიერი ბილეთების მფლობელები ამ თანხიდან მიიღებენ 30 მილიონი მანეთის მოგებას (სულ — 3.415.000 მოგება). ეს იქნება ავტომანქანები „ვოლგა", „მოსკვიჩი", „ზაპოროჟეცი", მოტოციკლები, მოტოროლერები, საერთაშორისო შეჯიბრებების ტურისტული საგზურები და სხვ.

ახალ ოლიმპიურ ლატარიაში 50 თანრიგია, თვითეულში — 1 მილიონი ბილეთი. ჩვენს რესპუბლიკას საკუთრივ გამოეყო № 37 თანრიგი, რომლის ყველა მოგება საქართველოში გაიცემა. მოგვყავს 1964 და 1968 წლების ოლიმპიური ლატარიების შედარებითი ცხრილი ერთ თანრიგში:

მოგებათა დასახელება	1964		1968	
	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება
ავტომანქანა „ვოლგა"	—	—	1	5.602
ავტომანქანა „მოსკვიჩი"	1	3.400	10	45.112,5
ავტომანქანა „ზაპოროჟეცი"	1	2.200	25	75.000
ეტლიანი მოტოციკლი	10	7.560	100	71.000
მოტოროლერი	10	4.100	60	24.000
მოპედი და მოტოველოსიპედი	0	0	200	32.000
რადიომიმღები ტრანზისტორი	0	0	400	18.894
მაგნიტოფონი	0	0	60	14.300
კინოაპარატი	0	0	110	11.200
ფოტოაპარატი	0	0	120	7.500
საერთაშორისო შეჯიბრების საგზური	8	1.200	8	2100
ტურისტული საგზური სსრ კავშირში თბომავლით სამოგზაუროდ	8	900	123	20.020
სპორტული და ტურისტული ინვენტარი	3375	85.545	2414	75.064
ფულადი მოგება 3-დან 25 მანეთამდე	56.597	95.085	64.651	198.253
სულ	60.000	200.000	68.300	600.152

საქართველოში ლატარიის ბილეთები გაიყიდება თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის სპორტკავშირებში, სპორტულ საზოგადოებებში, ფიზკულტურულ ორგანიზაციებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სპორტნაგებობებსა და სპორტულ მაღაზიებში...

ოლიმპიური ლატარიის შემოსავალი მოხმარდება ჩვენში სპორტული მოძრაობის განმტკიცებას, ახალი სპორტული ნაგებობების მშენებლობასა და სხვ.

საქართველოს ყველა სპორტსმენმა, ფიზკულტურელმა, სპორტის მოყვარულმა არა მარტო უნდა შეიძინოს ოლიმპიური ლატარიის ბილეთები, არამედ ხელიც შეუწყოს მათ წარმატებით გავრცელებას.

მაშ ასე, დღეიდან იწყება ოლიმპიური ლატარიის ბილეთების გაყიდვა. თუ გსურთ საქმით დაამტკიცოთ, რომ საქართველოს სპორტის გულშემატკივარი ხართ, შეიძინეთ ლატარიის ბილეთები!

საქართველოში—1 „ვოლგა", 10 „მოსკვიჩი", 25 „ზაპოროჟეცი", 100 ეტლიანი მოტოციკლი ელის პატრონებს...

ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებში

მომზადებული შეხვდით...

ჩვენში — იმიერკარპატში, ზამთარი შედარებით ხანმოკლე და ძალიან ჭირვეული იცის.

სოფელ ვიშკოვოს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალგაზრდა სპორტსმენები წლევანდელ თოვლს კარგად მომზადებული შეხვდნენ. ახლახან დამთავრდა ტრამპლინის მშენებლობა, სადაც დიდი შეჯიბრებებიც შეიძლება გაიმართოს. უყურადღებოდ არც ახალბედა მოთხილამურეები დარჩენიათ. მათთვის მოეწყო სამი სპეციალური სავარჯიშო ტრამპლინი შედარებით მცირე მოცულობისა. ამ ბაზების მშენებლობის ერთ-ერთი ინიციატორი და ენთუზიასტი გახლავთ „კოლხოზნიკის" ფიზკულტურის ინსტრუქტორი ნ. ლეგეზა.

მთის მისადგომებთან პატარა სახლიც ააშენეს, რომ სპორტსმენებმა აქ დაისვენონ. განზრახული აქვთ მოთხილამურეებისთვის საბაგირო გზის მოწყობაც.

ვ. მელენტიევი.

მუკაჩევო.

თავისებური ისტორია

სამი ათასი სპორტული ნიშანი შეუგროვებია კრასნოიარსკის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორს გ. ხაისერვერინს. ამ ნიშნების გამოფენას ცალკე დარბაზი დაეთმო კრასნოიარსკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ხაისერვერინის კოლექცია გახლავთ ნიშნებში გამოხატული თავისებური ისტორია სპორტისა. ექსპონატებს შორისაა „ვსევობუჩის" უნიკალური ნიშანი: არწივი, რომელსაც კლანჭებით შტანგა უჭირავს. აქვეა სსრ კავშირის პირველი სპორტული ნიშნები, მაგალითად, „რსფსრ-ს ფიზკულტურის პირველი ზეიმი, 1927".

კოლექციის საერთაშორისო განყოფილებაში ნახავთ ევროპის ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების, 200-ზე მეტი უცხოური კლუბისა და საზოგადოების ნიშნებს. ამას გარდა, ხაისერვერინს შეუნახავს ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ჩემპიონთა მედლები.

გ. ხაისერვერინი ლექციებს კითხულობს სსრ კავშირში სპორტის განვითარებაზე და საილუსტრაციოდ მუდამ თავის კოლექციას იყენებს. (აას-ი).



ლუგანსკის ოლქი. კომუნარსკის სპორტსმენებმა ახლახან ჩინებული სპორტული კომპლექსი მიიღეს.

სურათზე: ახალი ბაზა.

ფოტო რ. აზრიელისა (ტასს-ი).

პოლემიკაც კი გამართულა

აქტიური დასვენების პრობლემა XIX საუკუნის ქართულ პრესაში

ამას წინათ ფრიად პატივცემული ფიზიოლოგის საჯარო ლექციას დავესწარი. ლექციის თემა აქტიური დასვენების პრობლემებს ეხებოდა. ლექტორმა აქტიური დასვენების მეცნიერული საფუძვლების შექმნით დაიწყო. ილაპარაკა ძველი ბერძნების შეხედულებებზე, შემდეგ სხვა ეპოქებში შემუშავებული აზრი დაახასიათა, საფუძვლიანად შეეხო რუსეთში მოღვაწე ფიზიოლოგების თარხნიშვილისა და სეჩენოვის მეცნიერულ კვლევას აქტიური დასვენების დარგში და, ბოლოს, საბჭოთა ფიზიოლოგიური სკოლის მიღწევებით დაამთავრა.

როცა დავრწმუნდი, რომ ლექტორი არაფერს ამბობდა გასული საუკუნის საქართველოზე, ვკითხე: „რა შეხედულებებია გამოთქმული აქტიურ დასვენებაზე გასული საუკუნის ქართულ პრესაში?". სამწუხაროდ, ამის შესახებ მასალები არ გაგვაჩნია, — მიპასუხა მან. მაშინ ლექტორს დავპირდი ასეთ მასალებს მოგაწოდებთ-მეთქი.

ვასრულებ ჩემს დაპირებას, ოღონდ გაზეთის საშუალებით, რათა ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებრიობამაც იცოდეს, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, ე. ი. ჯერ კიდევ მთელი რიგი ფიზიოლოგიური სკოლების შექმნამდე, ქართულ პრესაში შემუშავებული იყო მეტად საინტერესო შეხედულებები აქტიური დასვენების ზოგიერთ ფორმაზე.

აქტიური დასვენების (საწარმოო ტანვარჯიში, ფიზკულტპაუზა, მუშაობის დარგების, ან სამუშაო პოზის ურთიერთშენაცვლება, ტურიზმი და სხვ.) საკითხებზე XIX საუკუნის ქართული პრესა უმთავრესად იმასთან დაკავშირებით ამახვილებს ყურადღებას, რომ ხელოსნური და მანუფაქტურული წარმოების განვითარებამ, აგრეთვე, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის ზღვარის გაზრდამ გააღრმავა ორგანიზმისთვის ისეთი მავნე მოვლენა, როგორიც იყო ე. წ. შრომის დანაწილება.

ჯერ კიდევ 1865 წელს ექიმ რანჩევსკის ლექციებით, რაც ჟურნალმა „ცისკარმა" დაბეჭდა, ქართველი მკითხველი გაეცნო აქტიური დასვენების ერთ-ერთ საინტერესო ფორმას, კერძოდ, გონებრივი მუშაობის პროცესში ფიზიკური ვარჯიშების ჩართვას. „ცისკარს" ამ მხრივ ყველაზე სასარგებლო ვარჯიშობად მიაჩნია სიარული. „ერთი საათი რომ იჯდე, — ვკითხულობთ ჟურნალში, — ანუ ბევრი-ბევრი საათნახევარი წიგნზე ანუ წერაზედ, აუცილებლად უნდა გაიარ-გამოიარო, ანუ გაიქც-გამოიქცე".

სხვათა შორის, ავტორი ფიქრობს, რომ აქტიური დასვენებისთვის ხელსაყრელი საშუალებაა ქართული ცეკვა („ლეკური"). ჯერ ერთი, იმიტომ, რომ „ეს მოძრაობა მომეტებულად სუფთა ჰაერზე წარმოებს" და მეორეც, ამ ცეკვის დროს „მთელი კუნთების მოძრაობანი იხმარებიან". უფრო გვიან, 1871 წელს, სტატიაში — „გამოკრებილი რამდენიმე დარიგება ფრენოლოგიითგან ყრმის აღზრდისთვის" „ცისკარმა" მიუთითა, „თუ რომ ხელს ამუშავებთ, ამით ფეხს ღონე არ ეძლევა", აქედან გამომდინარე, „თუ ერთი ასო სხეულისა მოძრაობაშია, მეორე ასოც მოძრაობაში უნდა იყოს".

შრომის დანაწილებისა და აქტიური დასვენების პრობლემებზე საინტერესო შეხედულებებს გვაწვდის გაზეთი „დროება". იგი თვლის, რომ ფიზიკური შრომა ადამიანის ყოველმხრივი განვითარების კარგი საშუალებაა, მაგრამ არის შრომის ისეთი დარგები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ადამიანზე, თუნდაც ზომიერი დატვირთვის ფარგლებში იყვნენ მოქცეული. ეს დარგები იწვევენ სხეულის სხვადასხვა ნაწილის უთანაბრო დატვირთვას და, აქედან გამომდინარე, იმ ნაწილების დასნეულებას, რომლებიც შრომითი პროცესის დროს უძრავ მდგომარეობაში არიან ან ზომაზე მეტად იტვირთებიან. ყველაზე ადრე შრომის დანაწილების ეს მავნე გამოვლინება დახასიათებული იყო ზ. მოენიძის (ანტ. ფურცელაძის) წერილში „შეუსრულებელი სურათი". „იმ გვარი შრომა არის მავნებელი კაცისთვის, — წერს ა. ფურცელაძე, — როდესაც კაცი მარტო სულ ერთ გვარს საქმეს ადგია; იმან ყოველივე თავისი ძლიერება, რომელიც საჭირო არის ამისგნით ამორჩეულის საქმისათვის, უნდა მიაპყროს ამ საქმესა, სხვა მხარეები კი კაცის აგებულებისა და თვისებისა — ბუნებრივნი ნიჭნი რჩებიან უქმათა და უძლურდებიან, ან ზოგჯერ კიდევ სულ დაიხშვიან... როდესაც კაცი მარტო ერთს თავის აგებულების მხარეს ან ნიჭს ამოქმედებს და სხვები უმოქმედოთა და უვარჯიშოთა აქვს, მაშინ ეს მხარეები, თუ ნიჭები, უძლურდებიან, ან სულა ჰკარგავენ მოქმედების ძალასა. აგრეთვე ერთის რომელსამე მხარის მეტის მეტათ მოძრაობაში მოყვანა და დაუცხრომლათ ამ მხარეებით მოქმედება ულევს ამ მხარეს ძალასა და მალე უღებს ბოლოს. რამდენიც კაცი ამოქმედებს რომელსამე მხარესა, იმდენი ამ მოქმედს მხარეს აკლდება თავისი შემადგენელი ნაწილები; და უკეთუ კაცი არ მისცემს ამ მოქმედებაში მოყვანილს მხარეს საკმაო დასვენებასა, მაშინ ეს მხარე თან და თან დაჰკარგავს თავის შემადგენელ ნაწილებსა და ბოლოს იქამდინ მიაღწევს, რომ რაკი საკმაო არ ექნება მოქმედებისათვის საჭირო თავისი შემადგენელი ნაწილები, მოიშლება და კაცს აღარ შეეძლება ამითი მოქმედებაში მოყვანა. ამის მაგალითს ვხედავთ ჩვენ იმგვარ კაცებზედა, რომელნიც მეტის მეტათ დასწოლიან ერთის მხარის მოქმედებასა და არ აძლევენ იმათ საკმაო დასვენებას. რასაკვირველია, ყველაზედ ერთნაირად არ მოქმედებს ეს კანონი, — ეს კაცის აგებულებაზედ ჰკიდია, მაგრამ ვინც უნდა იყვეს, დღეს არის თუ ხვალა, ეს კანონი უჩვენებს თავის ძალასა".

ა. ფურცელაძის ეს შეხედულება უფრო დაკონკრეტებულია გ. მაღალაშვილის წერილში — „ნამდვილი მიზეზი სხვა და სხვა ავადმყოფობისა" („დროება", 1871, № 8), სადაც ავტორი ახასიათებს ხარაზების, მკერავების, მქარგავებისა და მესაათეების სამუშაო პოზას, როცა „გულ-ღვიძლი და სტომაქი შეხუთული აქვთ". ეს ხელოსნები, როგორც ავტორი აღნიშნავს, სწორედ სხეულის ამ ნაწილების ავადმყოფობით გამოირჩევიან.

შრომის დანაწილების მავნე გავლენის თავიდან აცილების გზები ყველაზე საფუძვლიანად ა. ფურცელაძის ზემომოყვანილ წერილშია დასახული; „აქედამ ცხადად გვიჩვენებს ბუნება, — წერს ა. ფურცელაძე, — რომ ჩვენ უნდა ნიადაგ შრომაში ვიყვნეთ, მაგრამ ეს შრომა უნდა გვქონდეს აწონილი, მოსაზრებული და უნდა ყოველთვის, როდესაც საჭიროა, შევცვლიდეთ სამუშაოსა. ვთქვათ ეხლა ვშრომობთ გონების სამოქმედო საქმეზედა და იმდენ ხანს ვსაქმობთ, რომ შევატყოთ ჩვენს თავს ამ საქმეში დაღალვა, მაშინ ჩვენ უნდა გონება დავასვენოთ და ვიწყოთ სხეულით მეხანიკური მოქმედება, სადაც ძალა დატანებით გონების მოქმედება არ არის საჭირო; ამ ხანებში ისვენებს გონება. ახლა, როდესაც დაიღლება სხეული მეხანიკურის მოქმედებითა, მაშინ უნდა დავაწყებინოთ მოქმედება ან ისევ გონებისა, ან სხვა რამე ნიჭიერებისა, რომელიც იყო მოქმედებაში. ამ გვარათ კაცს შეუძლია გაადვილოს თავის თავში სხვა და სხვა ნიჭი, რომელშიაც კაცი ჰხედავს თავს ხალისიანათა, ამასთან, ამ გვარს მოქმედებაში, არცა ჰლუპავს კაცი ერთს ნიჭს მეტის მოქმედებითა და მეორეს — უმოქმედობითა. ამასთანავე ამ გვარს შრომაში მინამ ერთი მოქმედებს, მეორე ისვენებს და ამ გვარათ მოყვანილს მოქმედებაში ნიჭებს ეძლევათ სიმარჯვე გამხნევებისა და ცაუმჯობესებისა" („დროება", 1867, № 37).

ამის შემდეგ, მართალია, მსგავსი მასშტაბის წერილი „დროებას" არ დაუბეჭდია, მაგრამ ზოგიერთ მასალაში მაინც ვხვდებით ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით წამოყენებულ წინადადებებს. მაგალითად, ვინმე კ. დარკველი პარიზიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში (1882, № 55) წერს: „სიამოვნება და გართობა შეჰწევს (შეეწევა, ეხმარება. — ა. ც.) შრომას და შრომა მოითხოვს გართობას" (შეადარე — შრომის განაწილების პრობლემასთან დაკავშირებით კ. მარქსის „კაპიტალში" (ტომი I, გვ. 348) ციტირებული ინგლისური ანდაზა: „მარტოოდენ შრომა, თუ მას გართობაც არ ახლავს, დამაჩლუნგებელია").

უფრო კონკრეტულ და საქმიან წინადადებას შეიცავს ანასტასია თუმანიშვილის წერილი „ქალების პროფესიონალური ხელსაქმის სკოლა თბილისში". ავტორს მიაჩნია, რომ შრომითი პროცესი, რომელიც მოითხოვს სხეულის უმოქმედობას — „როგორც ნემეცის და ინგლისის ქალები სძლებენ ორი საათი ერთ ადგილას, ერთსა და იმავე ხელსაქმეზედ ჯდომას", — ყოვლად აუტანელია ისეთი ტემპერამენტისა და მუდმივ მოძრაობას შეჩვეული მოზარდისთვის, როგორიც ქართველი მოსწავლეა. ამასთან დაკავშირებით, ავტორი იძლევა წინადადებას, რომ ხელსაქმის სწავლების პროცესში გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი: „ერთმანეთთან ვინ იცის რაების წარამარად ლაპარაკის მაგივრად წიგნები წაუკითხონ ხოლმე ქსოვისა და კერვის დროს ან ზედამხედველმა, ან არა და თუნდ თითონ ქალებმა ჯერით, ისე რომ თითო ქალი თვეში მხოლოდ ერთ ან ორ საათს მოსცილდება ხელსაქმეს. ეს ადვილი მოსახერხებელია, თორემა მართლა ხომ არ გვსურს, რომ ისინი მაშინებად გადავაქციოთ?"

შრომის განაწილებისა და აქტიური დასვენების პრობლემამ ასახვა ჰპოვა ჟურნალ „მნათობშიც". 1869 წელს (№ 7-8) ჟურნალმა დაბეჭდა უცხოეთიდან გადმოქართულებული წერილი „ლუკმა-პურის ამბავი", სადაც ვრცლადაა მოთხრობილი იმაზე, რომ შრომის დროს ყველა მოძრაობა არაა სასარგებლო. ამგვარი მოძრაობის სარგებლიანობა, როგორც წერილშია მითითებული, დამოკიდებულია იმაზე, თუ სამუშაოს შესრულება ადამიანის ორგანიზმის რომელი ნაწილის მოქმედებას მოითხოვს, რა ენერგია ეხარჯება მუშას ამისათვის და, რაც მთავარია, მუშაობაში რამდენად სწორად ენაცვლებიან ერთმანეთს ცალკეული ორგანოები, რამდენად გეგმაზომიერად მიმდინარეობს მათი დაღლა-დასვენების პროცესი. „ის კაცია ჯანმრთელი, — ვკითხულობთ წერილში, — რომელიც თავის მუშაობაში სხეულის ყველა კუნთებს ან ერთად ამუშავებს, ან რიგ-რიგათ — ხან ერთს, ხან მეორეს. თუ კაცს ამნაირი მუშაობა აქვს, — სარგებლობას მოუტანს იმას; კუნთები გაუმაგრდება, ჯანი და ღონეც მოემატება, ბევრის ატანასაც შესძლებს. ამასთან თუ ამ მთელი გვამის მუშაობასთან კაცმა ტვინიც აამუშავა, ამაზედ უკეთესი აღარ იქნება რა!"

წერილი ღრმად წვდება საკითხს და განმარტავს, რომ ისეთი შრომითი პროცესი, რომელიც ადამიანის სხეულის მხოლოდ ერთი გარკვეული ჯგუფის მოძრაობას მოითხოვს და სხვები კი ამ დროს „უქმობენ", იწვევს მუშის გამოფიტვას; მოძრაობაში მყოფი ორგანოები უძლურდებიან „მომეტებული მუშაობით" და სხვა ორგანოებსაც იგივე ემართებათ „ცუდად ყოფნის გამო". „ერთი სიტყვით, — დაასკვნის ჟურნალი, — კაცისთვის სასარგებლო ის არის, რომ ყველა სხეულის ორგანოებსაც და ტვინსაც ამუშავებდეს, ამ გვარი მუშაობით სიცოცხლე ემატება იმას".

საინტერესოა აღინიშნოს, რომ შრომის განაწილებისა და აქტიური დასვენების საკითხზე ქართულ პრესაში პოლემიკაც კი გამართულა. განსაკუთრებით დავობდნენ ერთმანეთში „დროება" და „მნათობი". „მნათობის" ავტორი მ. ქიქოძე მიიჩნევდა, რომ შრომის განაწილება სავსებით სასარგებლო მოვლენაა და, აქედან გამომდინარე, არავითარი ღონისძიების ჩატარება მისი შედეგების დაძლევისთვის საჭირო არაა. მაგრამ ბოლოს, როგორც ჩანს, „მნათობის" რედაქცია აღარ დაეთანხმა მ. ქიქოძეს და 1871 წელს დაბეჭდა ა. ფურცელაძის წერილი „ჩვენი სალტოლვილო", სადაც მთლიანად „დროების" პოზიციებია დაცული. ა. ფურცელაძეს დამღუპველად მიაჩნია ის გარემოება, რომ „ზოგი კაცი იმგვარს საქმეს ადგია, სადაც ან უნდა მარტო სხეულით იმუშაოს, ან მარტო გონებით. წერილში დამოწმებულია ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორიც იყო შარლ ფურიე და შრომის განაწილების მავნე შედეგების თავიდან აცილების გზები სწორედ ფურიეს სიტყვებითაა გადმოცემული: „უნდა ყველა კაცს ხშირად ეცვლებოდეს საქმე, რომ ერთს საქმეზედ დგომით ან გონებით არ დაჩლუნგდეს, ან სხეულით არ მოუძლურდეს, რომ კაცი ხან გონების სამუშაოს ადგეს, ხან სხეულისას".

მსგავსი შეხედულებების ანარეკლს ვხვდებით გასული საუკუნის 60-80-ანი წლების ქართულ პერიოდიკაში — „ნობათში", „სასოფლო გაზეთში" და სხვ.

უკვე 70-ანი წლებიდან ქართულ პრესაში ვხვდებით მოწოდებას იმის თაობაზე, რომ მოსახლეობამ გამოიყენოს ტურიზმი, როგორც აქტიური დასვენებისა და ხალხის ცხოვრების გაცნობის საშუალება. „ჩვენგან, — წერდა ს. მგალობლიშვილი 1875 წლის „დროებაში", — გაუცნობელნი არიან ეს ამოდენი შესანიშნავი ადგილები. გადამთიელები მოდიან პირ-და-პირ ჩვენი ბუნების გასაცნობად, და ვინც ვერ მოდის, ნატრობენ მის ნახვას. ჩვენ კი ჩვენი სამშობლოს სიმშვენიერეს, ჩვენ სიმდიდრეს გულგრილად ვუცქერით და ვეღარც კი ვიცნობთ ჩვენ მშობელს. რად ხდება ესრედ? ჩვენის უხეირობისაგან!"

იგივე აზრია გადმოცემული ს. მესხის წერილში „ხალხის გაცნობა" („დროება", 1875, № 73).

დასასრულს ვიმედოვნებ, რომ პატივცემული ლექტორი, რომლის თხოვნითაც მომიხდა ზემომოტანილი მასალების გამოქვეყნება, თავის მომდევნო ლექციებში ალბათ გაკვრით მაინც მიუთითებს, რომ გასული საუკუნის 60-80-ანი წლების ქართულ პრესაშიც შემუშავებული იყო შეხედულებათა გარკვეული სისტემა აქტიური დასვენების საკითხებზე, რაც მეცნიერულ დონემდე იყო ამაღლებული.

ა. ციბაძე,

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის გამოყენებითი სახეობების ფაკულტეტის დეკანი, ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

კონფერენციამ იმსჯელა

ამას წინათ გაიმართა საქართველოს ალკკ ქობულეთის რაიონული ორგანიზაციის XXX კონფერენცია.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი შ. მესხიძე. მომხსენებელმა და მოკამათეებმა: კომკავშირული ორგანიზაციების კომიტეტების მდივნებმა, მოწინავე კოლმეურნეებმა და სამრეწველო საწარმოთა ახალგაზრდა დამკვრელებმა სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად ფართოდ იმსჯელეს კოლექტივებში მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაზე.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ, წინა წლებთან შედარებით ქობულეთის რაიონში შესამჩნევად განვითარდა ფიზკულტურა და სპორტი და რომ ამჟამად აქ 12 სპორტის ოსტატი და ასობით თანრიგოსანია. საოლქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ბევრჯერ მოუპოვებიათ წარმატება ქობულეთელ ველოსიპედისტებს, ძალოსნებსა და მოჭიდავეებს, მძლეოსნებს, ფრენბურთელებს, კალათბურთელებს.

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა მაღალ დონეზე დგას ოჩხამურისა და ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, ხუცუბნისა და ბობოყვათის კოლმეურნეობებში. სათანადო ყურადღება ექცევა სპორტბაზების მოწყობას, თანრიგოსანთა მომზადებას. სწორედ ესაა ამ ფიზკულტურული კოლექტივების წარმატების სათავე.

— მაგრამ, — ითქვა კონფერენციაზე, — ქვედა აჭყვას, ზედა კვირიკეს, წყავროკის, ლეღვას, ზენითის, მუხაესტატესა და სხვა კოლმეურნეობების ფიზკულტურულ ორგანიზაციებზე ამასვე ვერ ვიტყვით. მათთან თითქმის მთლიანად ჩაშლილია მუშაობა. ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა არც რაიონის სამრეწველო საწარმოებშია: ჩაის ფაბრიკებში, საკონსერვო ქარხანასა და ბამბეულის საქსოვ ფაბრიკაში.

აღინიშნა, რომ ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებლის აღსაზრდელებმა მოედნების მოსაწყობად ადგილი მოამზადეს, მაგრამ დირექციამ ისინი სათანადო ინვენტარით ვერ უზრუნველყო.

კონფერენციამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მიიღო რეზოლუცია.

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

ქობულეთი.

ქარელის მე-2 საშუალო სკოლაში ფიზკულტურასა და სპორტს დიდი ყურადღება ექცევა. სკოლის დირექტორი ნ. კობახიძე და პარტორგანიზაციის მდივანი გ. მექოშვილი ძალას არ იშურებენ, რათა ნორჩ სპორტსმენებს წვრთნის ნორმალური პირობები შეუქმნან. მოსწავლეთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სპორტდარბაზი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. **სურათებზე:** მარცხნივ — ნორჩ კალათბურთელთა თამაშის მომენტი; მარჯვნივ — ფიზაღზრდის მასწავლებელი ლ. ომიაძე მოსწავლეებს უხსნის კალათბურთის ერთ-ერთ ილეთს.

ფოტო ა. პროშიჩევისა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲝᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲖᲘᲠᲘ — ᲣᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ

თბილისი. სპორტის სასახლე. 18 დეკემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი) 62:70 (29:30).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ": სხიერელი (გუნდს შესძინა 2 ქულა), ბოლქვაძე (2), ალთაბაევი (8), მამალაძე (4), ნარიმანიძე (2), მოსეშვილი (6), ლეჟავა (19), კაზანჯიანი (9), უგრეხელიძე (10), ლეონტიევი.

„ᲡᲢᲠᲝᲘᲢᲔᲚᲘ": გლადუნი (10), ვალტინი (18), ბაგლეი (3), სმოლიაკოვი (17), ოკიპნიაკი (9), პოპლავსკი (4), კოვიანოვი (12), ივაშჩენკო (2), კუზმინი

მსაჯები: გ. მუხამეძიანოვი (ყაზანი) და ნ. შარგანოვი (მოსკოვი).

კიევის „სტროიტელმა" დინამოელებთან შეხვედრამდე თბილისში 2 მატჩი გამართა და, ცხადია, ორივე შეხვედრაში გამოავლინა თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამიტომ უკრაინელთა გუშინწინდელი მეტოქეების წინაშე კონკრეტული საბრძოლო პროგრამა იდგა, რომლის ზუსტად და უნაკლოდ შესრულება წარმატების გარანტია უნდა გამხდარიყო. მაგრამ სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ „დინამომ" ამოცანა ვერ გადაწყვიტა. იგი თითქოს ახლოსაც იყო ჩანაფიქრის განხორციელებასთან, მაგრამ გუნდის წევრებს საშემსრულებლო ოსტატობა არ ეყოთ და გეგმამ ხორცი ვერ შეისხა.

პირველი და მთავარი, რაც თვალში გვეცემოდათ, იყო დაცვის სტიქიური, არაორგანიზებული ხასიათი. უფრო მეტიც: საკითხავია, მიმართავდნენ თუ არა დინამოელები ამ მატჩში დაცვის რომელიმე სისტემას, ზრუნავდნენ თუ არა საკუთარი ფარის უსაფრთხოებაზე და თუ მიმართავდნენ, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა იგი? „სტროიტელის" კალათბურთელებს სროლისას ხელს არავინ უშლიდა, ნაკლებ წინააღმდეგობას გრძნობდნენ სტუმრები ფარქვეშ ბრძოლის დროსაც — ყველა მაღალი ბურთი ჩვენს კალათთან უკრაინელთა საკუთრება ხდებოდა. ეს ორი დიდი კოზირი „დინამომ" უბრძოლველად დაუთმო მეტოქეს, რამაც, ფაქტიურად, გადაწყვიტა კიდეც თამაშის ბედი.

შეხვედრის პირველი ნახევარი ცვალებადი უპირატესობით აღინიშნა. ერთხანს დინამოელები დაწინაურდნენ კიდეც. მაგრამ, დაახლოებით მე-9 წუთიდან „სტროიტელი" წინ გავიდა და ტაიმი თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს სტუმრებმა. განსაკუთრებით გააქტიურდა სმოლიაკოვი, რომლის უვნებელყოფა „დინამომ" ვერა და ვერ შეძლო. საინტერესოა, რომ ამ ტანმორჩილმა კალათბურთელმა მეორე ტაიმში გუნდს ყველაზე — ბევრი ქულა შესძინა (13). მწვავედ და აგრესიულად თამაშობდა უკრაინელთა ცენტრალური თავდამსხმელი ოკიპნიაკიც.

თბილისელთაგან ამ კრიტიკულ მომენტში თავი ისახელა მხოლოდ ლეჟავამ, მაგრამ იგი მუდამ ერთნაირად არ იყო დატვირთული.

Ნ. ᲑᲣᲑᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (კიევი)	6	6	0	462—406	6
„ᲡᲢᲠᲝᲘᲢᲔᲚᲘ" (კიევი)	9	6	3	613—573	6
„ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ" (კაუნასი)	4	4	0	354—282	4
ᲪᲡᲙᲐ	6	4	2	391—363	4
„ᲙᲐᲚᲔᲕᲘ" (ტარტუ)	6	4	2	389—373	4
ᲕᲔᲤ (რიგა)	8	4	4	572—576	4
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი)	5	3	2	340—335	3
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (ლენინგრადი)	8	3	5	546—546	3
„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (თბილისი)	6	2	4	366—391	2
ასკ (რიგა)	6	2	4	395—424	2
„ᲣᲠᲐᲚᲛᲐᲨᲘ" (სვერდლოვსკი)	8	1	7	575—683	1
„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (ბაქო)	6	0	6	375—434	0

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ცხრილში შეტანილი არ არის წუხანდელი შეხვედრების შედეგები.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

თბილისში დამთავრდა ჭაბუკ კალათბურთელთა ზამთრის საკავშირო შეჯიბრების შერჩევითი ტურნირი. საშუალო ასაკის ჭაბუკთა შორის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა „დინამოს" I კოლექტივმა, რომელმაც გადამწყვეტი მატჩი მოუგო რკინიგზის ბავშვთა სპორტსკოლის გუნდს — 63:39. კარგი შთაბეჭდილება დატოვა დინამოელმა ნ. ქეიშვილმა, რომელიც ოსტატურად ხელმძღვანელობდა პარტნიორთა მოქმედებას და თვითონაც ზუსტად ამთავრებდა შეტევებს. საგულისხმოა, რომ გადამწყვეტ მატჩში ქეიშვილმა თავის გუნდს 19 ქულა შესძინა. საინტერესო იყო ამავე ასაკის გოგონათა ფინალური პაექრობა განათლების განყოფილების I და IV გუნდებს შორის. სასიამოვნოა ის ამბავიც, რომ 14-15 წლის პატარა გოგონებმა თანამედროვე კალათბურთისთვის დამახასიათებელი სტილი გვაჩვენეს — ტემპიანად და შემტევად ითამაშეს. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის მწვრთნელების ს. ოგანეზოვისა (I გუნდი) და რ. ახალაძის (IV გუნდი) მიმართ, რომლებიც სწორად წარმართავენ ნორჩთა დაოსტატების საქმეს. გამარჯვება და ნახევარფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს I გუნდის წარმომადგენლებმა, რომელთა შორის ეფექტური თამაშით გამოირჩეოდა მ. მოსულიშვილი.

დაძაბული იყო უფროსი ასაკის ჭაბუკთა მატჩები. ამას ისიც ცხადყოფს, რომ ვერც ერთმა პრიზიორმა ვერ დააღწია თავი დამარცხებას. უძლიერესის გამოსავლენად საჭირო გახდა ქულათა სხვაობის დაჯამება. I ადგილი წილად ხვდათ განათლების განყოფილების კალათბურთელებს, II — დინამოელებს (ამ ორმა გუნდმა ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა). ქებას იმსახურებს შ. იაქაშვილის, ი. ძიძიგურის, გ. ნატრიაშვილის, ა. იოსელიანის, დ. ლეჟავას და სხვათა თამაში.

ამ ასაკის გოგონებიდან ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს განათლების განყოფილების I და II კოლექტივებმა.

Ლ. ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲛᲐ

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზში აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, მოლდავეთისა და რუსთავის აკრობატთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა უნდა გამართულიყო. მაგრამ აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტსმენები არ ჩამოვიდნენ და პირველობისთვის ბრძოლა საქართველოსა და მოლდავეთის გუნდებს შორის გაიმართა. გამარჯვება წილად ხვდა მოლდავეთის კოლექტივს, რომელმაც 1.144,17 ქულა დააგროვა. საქართველოს გუნდმა 1.136,525 ქულა მოაგროვა, რუსთავის კოლექტივმა — 991,46.

აკრობატულ ხტომაში სპორტის ოსტატთა პროგრამით ქალთა შეჯიბრება მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონმა მოზარდთა შორის, მოლდავეთის გუნდის წევრმა ლ. ივანოვამ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ვ. პოპონდოპულო (საქართველო) და ნ. ცელაევა (მოლდავეთი).

ვაჟებში I ადგილზე მოლდაველი ი. ქურაძლიოვი იყო. II ადგილი დაიკავა მისმა თანაგუნდელმა ბ. ფედორენკომ, III — გ. შონიამ.

ძალისმიერ წყვილთა შეჯიბრებაში ყველას აჯობეს თ. ხუციშვილმა და ა. სლივკოვამ (საქართველო). II ადგილზე გავიდნენ მათი თანაგუნდელები პ. მიქიაშვილი და ა. თედეევი. III ადგილზეა მოლდავეთის წყვილი — ი. კლიმენკო და ი. ვოლოშჩუკი.

შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში თავი ისახელეს მასპინძლებმა. გაიმარჯვეს სსრ კავშირის ჩემპიონებმა მოზარდთა შორის თ. ყაზარიანმა და ლ. სოლოვიოვამ (რუსთავი). ა. მელოიანი და ლ. გელაშვილი (საქართველო) II ადგილზე არიან.

ძალისმიერ ოთხეულთა შეჯიბრებაში ოსტატებით დაკომპლექტებული გუნდი მხოლოდ მოლდავეთს ჰყავდა და მანვე გაიმარჯვა (ე. ხარპაკი, ი. ზიმილი, ა. კოსტროვი, ა. იოტოვი).

პირველთანრიგოსანთა პროგრამით კარგად იასპარეზა რუსთავის გუნდმა (ა. თინეიშვილი, მ. და ზ. მილაძეები, შ. ჩოდრიშვილი).

ოსტატის პროგრამით ბატუტზე ხტომა მოიგო ნ. პოგონიამ (საქართველო). პირველთანრიგოსანთა შორის ყველას აჯობა ა. თედეევმა (საქართველო). ქალებში I ადგილი წილად ხვდა ლ. ფოკინას, II — ნ. ცოცხალაშვილს (ორივე — საქართველო).

Რ. ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲫᲔ.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნიდან — **სსრ კავშირის ჩემპიონები მოზარდთა შორის ლ. ივანოვა (მოლდავეთი), ლ. სოლოვიოვა (რუსთავი) და ახალბედა ლ. გელაშვილი (თბილისი) შეჯიბრების შემდეგ.**

ფოტო ავტორისა.

ᲬᲘᲜ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ამ ფიქრისა და განსჯისა...

მოსწავლეთა X სპარტაკიადაში, რომელიც ამ ზაფხულს ლენინგრადში ჩატარდა, საქართველოს ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდმა IV ადგილი დაიკავა. ეს წინ გადადგმული ნაბიჯია; ადრე მხოლოდ V და VI ადგილებზე გავდიოდით.

ეს წარმატება უმთავრესად წვრთნის დროულმა დაწყებამ განაპირობა (მთავარი მწვრთნელი ა. ბუსლაევი). თეორიაში მეცადინეობის პარალელურად ბავშვები ხშირად შეჯიბრებებშიც მონაწილეობდნენ. ამხანაგურ მატჩებში მათ სძლიეს ყაზახეთის მოსწავლეთა გუნდს (13,5:2,5), „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებს (8,5:5,5), წინასასპარტაკიადო შეკრებაზე პიარნუში დაამარცხეს ესტონეთის მოსწავლეთა გუნდი (10:8), ხოლო თბილისის უნივერსიტეტის ნაკრებთან შეხვედრა ფრედ (7:7) დაამთავრეს.

პიარნუში სერიოზული მუშაობა გავწიეთ. თვითეული მოჭადრაკე ინდივიდუალური გეგმით მეცადინეობდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფიზმომზადების დიდი მნიშვნელობა. დილის გამამხნევებელმა ვარჯიშმა, ცურვამ და კროსებმა კარგი ნაყოფი გამოიღეს სპარტაკიადაში, სადაც ბავშვებს საგრძნობი ფიზიკური დატვირთვა ჰქონდათ (დღისით — ტური, საღამოს — გადადებული პარტიების დამთავრება).

ნახევარფინალში ჩვენმა გუნდმა ყველა შეხვედრა მოიგო და 26,5 ქულით II ადგილი (I. რსფსრ—28 ქულა) დაიკავა. საქართველოს ნორჩი მოჭადრაკეები ფინალში გავიდნენ. გაგახსენებთ მატჩების შედეგებს: უზბეკეთთან—4,5:3,5 ყირგიზეთთან—6,5:1,5, ტაჯიკეთთან — 6:2, სომხეთთან — 4,5:3,5 და რსფსრ-ს გუნდთან—5:3 (ეს ანგარიში ფინალში გადმოგვყვა).

მძაფრი ბრძოლა შეგვხვდა ფინალში, სადაც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, IV ადგილზე (21 ქულა) გავედით (I. რსფსრ — 25,5, II-III. უკრაინა, მოსკოვი — 22,5-22,5).

მოგვყავს მატჩების ანგარიშები: უკრაინასთან — 3:5, მოლდავეთთან — 5:3, მოსკოვთან — 3,5:4,5 და ბელორუსიასთან — 4,5:3,5.

გამარჯვებულის ქულობრივი სისტემით გამოვლენისას გუნდის თვითეული წევრის შედეგს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამიტომ გვწყვეტს გულს 2 (!) ნაღდი ქულის დაკარგვა: სტარტზე მ. სანაძე მოსაგებ პოზიციაში მოულოდნელად... დანებდა მოლდაველ მოჭადრაკეს. მოსკოვის გუნდთან მატჩში ც. კობაიძემ, აგრეთვე მოსაგებ მდგომარეობაში, ვერ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება.

საერთო ჯამში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ჩვენს მოსწავლეებს კარგი შედეგები აქვთ. აი, ვინ რამდენი ქულა (9-დან) შესძინა გუნდს: ე. უბილავამ — 5, ს. ჩეჩელიანმა — 8,5, გ. ვარდოსანიძემ — 3, ე. კარკმაზოვმა — 6,5, ვ. მეჩიტოვმა — 5,5, მ. აივაზიშვილმა — 4, ც. კობაიძემ — 4, მ. სანაძემ — 6.

ოსტატობის კანდიდატმა ჩეჩელიანმა სპარტაკიადის აბსოლუტური შედეგი აჩვენა, რითაც კომკავშირის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის სპეციალური პრიზი დაიმსახურა. კარკმაზოვმა ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა.

მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანის სიტყვით, „საქართველომ ბევრად წინ წაიწია სხვა რესპუბლიკებთან შედარებით". მართლაც ასეა. ალბათ კიდევ უფრო წინ ვიქნებოდით, გუნდში ნ. ალექსანდრიას რომ ეთამაშა.

რა თქმა უნდა, მიღწეული კიდევ უფრო დიდი წარმატებისთვის ბრძოლას გვავალებს. ეს არც ისე ადვილი საქმეა, თუ დროულად არ დავძლიეთ ხარვეზები, რაც ჯერ კიდევ უშლის ხელს ჭადრაკის სპორტული სკოლისა და, საერთოდ, ჩვენი მწვრთნელების მუშაობას.

აი, ეს ხარვეზებიც: ჭადრაკის სპორტულ სკოლას დღემდე არ გააჩნია სამეცადინო ბაზა, არ გვაქვს ნორჩ მოჭადრაკეებთან მეცადინეობის საერთო პროგრამა, მივიწყებულია მწვრთნელთა შემოქმედებითი სემინარები, შეკრებები, შეჯიბრებათა კალენდარი რადიკალურ შეცვლას მოითხოვს.

ბოლო ხანს რესპუბლიკაში ბევრი ნიჭიერი ნორჩი მოჭადრაკე გამოჩნდა, მაგრამ ისე ცოტა ჯგუფი გვაქვს, მწვრთნელების რიცხვიც ისე მცირეა, რომ ეს ნიჭიერი ბავშვები უყურადღებოდ გვრჩებიან. ბუნებრივია, გუნდს შევსება აკლდება.

ამ ნაკლოვანებათა დაძლევაში ხელი უნდა შეგვიწყონ ფიზკულტურის მასწავლებლებმა. სამწუხაროდ, ფიზკულტურის ინსტიტუტის ბევრმა კურსდამთავრებულმა არ იცის ჭადრაკის თამაში (ინსტიტუტში არ ასწავლიან) და, ცხადია, ვერაფერს აკეთებს სპორტის ამ სახეობის პროპაგანდისთვის. ჩვენ კი მათი იმედი გვაქვს.

ყველას გვჭირდება საჭადრაკო ლიტერატურა, პირველ ყოვლისა კი სახელმძღვანელო მშობლიურ ენაზე. ორი წლის წინათ „განათლებამ" გამოსცა თ. გიორგაძის „ჭადრაკის ანბანი", მაგრამ ისეთი პატარა ტირაჟით, რომ წიგნი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ვფიქრობთ, დროა ქართველ მოჭადრაკეებს თავიანთი ჟურნალი ჰქონდეთ.

საჭიროა აქედანვე ვიზრუნოთ V სპარტაკიადაში წარმატებისთვის.

Ვ. ᲛᲐᲨᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ,
საქართველოს ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდის მწვრთნელი, ოსტატობის კანდიდატი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

● **ᲓᲘᲣᲜᲙᲔᲠᲙᲘ,** 19 დეკემბერი. **ფრანგი ძალოსანი ჟან პოლ ფულეტიე (მძიმე წონა) „500-ანების კლუბის" 33-ე წევრი გახდა: აქ გამართულ შეჯიბრებაში მან 502,5 კგ დააგროვა სამჭიდში.**

● **ᲡᲘᲓᲜᲔᲘ, 19 დეკემბერი.** მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში ავსტრალია წარმოდგენილი იქნება 136 სპორტსმენით. ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში „მწვანე კონტინენტი" 100 სპორტსმენით ასპარეზობდა.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ, 19 დეკემბერი **(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** სსრ კავშირის ვაჟთა 35-ე საჭადრაკო ჩემპიონატის VIII ტურში თბილისელმა ოსტატმა გურგენიძემ კვლავ წარმატებით ითამაშა — ლენინგრადელ დიდოსტატ ფურმანთან მან პოზიციური უპირატესობით გადადო პარტია.

პასიურად იბრძოლეს უბილავამ და წერეთელმა: პირველი დამარცხდა უკრაინელ ოსტატ კუზმინთან, მეორე — ყაზანელ საერთაშორისო ოსტატ ნეჟმეტდინოვთან.

იზვოზჩიკოვმა მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია ოსტატ ქივკოვთან (უკრაინა), ხოლო კარკმაზოვს ოსტატ ძუხოვიცკისთან (რსფსრ) შეწყვეტილ პარტიაში თანაბარი მდგომარეობა აქვს.

Ვ. ᲐᲠᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘ,
ოსტატობის კანდიდატი.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲭᲨᲘ...

ᲡᲝᲭᲘ, 19 დეკემბერი. მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის VIII ტურში ტალინელმა მ. რანიკუმ მოუგო მოსკოველ ნ. ვოიციკს. ტალინელის უახლოესმა მეტოქეებმა კ. სკეგინამ და რ. ბილუნოვამ (ორივე — მოსკოვის ოლქი) აგრეთვე, მოსკოველმა ნ. კონოპლიოვამ თავიანთი პარტიები ყაიმით დაამთავრეს. მათ 6-6 ქულა მოაგროვეს და 1 ქულით ჩამორჩებიან რანიკუს.

ამ ჯგუფს შეუერთდნენ კურსკელი ლ. შადურა, თბილისელები ა. ჩაიკოვსკაია და ხ. ივანოვა, რომელმაც დაამარცხა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ვ. ბორისენკო (ტაშკენტი).

დანიის უგვირგვინო პრინცი

შეიძლება იღბლიანი წელი დაგიდგეს, მაგრამ დანიის უგვირგვინო პრინცის — ბენტ ლარსენის წლევანდელი წელიწადი მართლაც საოცნებოა! აგვისტოდან დღემდე დანიელმა დიდოსტატმა ჰავანის, ვინიპეგის, სუსისა და მალიორკის საერთაშორისო ტურნირებში ითამაშა და ფინიშთან ყველგან პირველი მივიდა.

მალიორკის ტურნირის გარშემო

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ლარსენს ოთხივე ტურნირში თანამედროვე ჭადრაკის ყველა (ტ. პეტროსიანის, მ. ტალისა და რ. ფიშერის გამოკლებით) აღიარებულ დიდოსტატთან მოუხდა ბრძოლა. იოლი როდია აჯობო მ. ბოტვინიკსა და პ. კერესს, ვ. სმისლოვსა და ბ. სპასკის, ე. გელერსა და ლ. პორტიშს, ლ. შტეინსა და ს. გლიგორიჩს, ვ. კორჩნოისა და ბ. ივკოვს, და კიდევ ბევრ სხვას.

— საზოგადოებაში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ლარსენთან გამარჯვება 1965 წელს ჩემი უდიდესი მიღწევაა ეს მართლაც ასე ჩანს. ერთი სული მაქვს, კვლავ შევხვდე ბენტს, — ამბობს ტალი.

ეს, როგორც ჩანს, მალე მოხდება. ჰოლანდიის ჭადრაკის ფედერაცია აწყობს საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც სხვა დიდოსტატებთან ერთად მიწვეული არიან ლარსენი, ტალი და კორჩნოი.

მალიორკის ტურნირმა ცხადყო, რომ ლარსენი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. მან 11 პარტია მოიგო, 4 ყაიმით დაამთავრა და 2 წააგო. ეს მარცხი დანიელ დიდოსტატს ფინიშზე მოუვიდა. ბოტვინიკთან პრინციპული პარტიის წაგებამ გატეხა, თორემ სხვა შემთხვევაში იგი ალბათ არ გაახარებდა ოსტატ ა. მედინას (ესპანეთი).

ლარსენი 32 წლის ჯანიანი ახალგაზრდაა. იქნებ სწორედ ესაა მისი წარმატების ერთ-ერთი საიდუმლოც. სხვაგვარად ძნელია აიხსნას, როგორ შეძლო მან ოთხ ტურნირში 70 პარტიის თამაში და აქედან 42 შეხვედრის მოგება.

ყველაზე საოცარი მაინც ისაა, რომ დანიის უგვირგვინო პრინცი მუდამ სინამდვილედ აქცევს ხოლმე თავის დანაპირებს. ლარსენს მტკიცედ სწამს საკუთარი ძალა, ნიჭი და უნარი. ამიტომაა, რომ მოურიდებლად აცხადებს: მე ვიქნები მსოფლიო ჩემპიონი!

ლარსენის თამაში და თამამი სიტყვები აქეზებს მოჭადრაკეებსა და გულშემატკივრებს. ეს კი თავისთავად ეშხსა და ლაზათს მატებს მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლას, რომელიც გაისად პრეტენდენტთა მატჩებით დაიწყება.

ვ. სმისლოვის წარმატება სავსებით კანონზომიერია. მოსკოველი დიდოსტატი ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში და მუდამ პრიზიორებში ვხედავთ. სმისლოვს უცხოელ დიდოსტატებთან თამაშის მდიდარი გამოცდილება აქვს. მალიორკაშიც მან მხოლოდ ერთი (ი. დონერთან) შეხვედრა წააგო, სამაგიეროდ, 9 პარტია მოიგო და 7 ყაიმით დაამთავრა. საინტერესოა, რომ სმისლოვმა მთავარ მეტოქეებთან ყველა შეხვედრა ყაიმით დაასრულა.

როცა ბოტვინიკის შედეგებს (9 მოგება, 7 ყაიმი, 1 წაგება) უკვირდები, ძალაუნებურად ფიქრობ: ნაადრევად ხომ არ აიღო მან ხელი მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაზე? მაგრამ მახსენდება მისი სიტყვები:

— მსოფლიო ჩემპიონობა აღარ მაინტერესებს. ამ ტიტულის მოპოვება მის შენარჩუნებაზე ფიქრსა და ზრუნვას მოითხოვს. ჩემპიონი უკვე ვიყავი. კმარა. ახლა მინდა ელექტროგამომთვლელი მანქანისთვის ისეთი საჭადრაკო პროგრამირება შევქმნა, რომელიც დიდოსტატის დამარცხებას შეძლებს. ჭადრაკს, რა თქმა უნდა, თავს არ დავანებებ, ტურნირებსა და მატჩებში დროგამოშვებით ვითამაშებ.

და ბოტვინიკი დაძაბულ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად [illegible] სახალისოდაც წარმატებით თამაშობს. იგი რომ არა, ლარსენი აუღელვებლად დაისაკუთრებდა I პრიზს.

შეეძლოთ თუ არა ბოტვინიკსა და სმისლოვს I ადგილის დაკავება? ბოლო ტურში, ალბათ, უკვე არა. ლარსენისგან განსხვავებით, მათ მეტოქეებად ძლიერი დიდოსტატები — ბ. ივკოვი და ს. გლიგორიჩი ჰყავდათ. ტურით ადრე სმისლოვი ბ. ივკოვთან თამაშობდა. ბოტვინიკს შედარებით იოლად დასაძლევი მეტოქე (რ. კალვო) ჰყავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ძალა არ ეყო. მიუხედავად ამისა, 56 წლის მოჭადრაკის მიღწევა კარგი საახალწლო საჩუქარია მისი გულშემატკივრებისთვის.

და ბოლოს, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტებს პორტიშსა და გლიგორიჩს ალბათ ვერ დააკმაყოფილებთ თავიანთი თამაში. ეს უფრო პორტიშზე ითქმის. ლარსენმა — მისმა მეტოქემ პრეტენდენტთა საგაისო მატჩში — ტურნირში აჯობა პორტიშს და პირადი შეხვედრაც მოუგო.

თ. გიორგაძე.

კენჭისყრა, კენჭისყრა...

18 დეკემბერს ციურიხში უეფა-მ მოახდინა კენჭისყრა, რომელმაც გამოავლინა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალური წყვილები.

თასების მფლობელთა თასში მოსკოვის „ტორპედოს“ მოწინააღმდეგე, როგორც ცნობილია, იქნება უელსის გუნდი „კარდიფ-სიტი“, რომელმაც ამ გათამაშებაში დაამარცხა ირლანდიის „შემროკ როვერზი“ (1:1, 2:0) და ჰოლანდიის „ბრედა“ (1:1, 4:1).

გათამაშების სხვა წყვილები ასეთია: „სტანდარდი“ (ბელგია) — „მილანი“ (იტალია), „ვალენსია“ (ესპანეთი) — „ბაიერნი“ (გფრ), „ჰამბურგერ-შპორტფერაინი“ (გფრ)—„ოლიმპიკ-ლიონი“ (საფრანგეთი).

ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: „აინტრახტი“ (გფრ), — „იუვენტუსი“ (იტალია), „ვაშაში“ (უნგრეთი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია), „რეალ-მადრიდი“ (ესპანეთი) — „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია), „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „გურნიკი“ (პოლონეთი).

მეტოქის მინდვრებზე გატანილი ბურთების ორმაგი ჩათვლა, რომელიც აქამდე იყო ძალაში, მეოთხედფინალებიდან მოქმედებაში აღარაა. თუ მოწინააღმდეგეებმა თანაბრად გაიტანეს ბურთები ორივე მატჩში, დაინიშნება მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა.

* * *

მოსკოვის „ტორპედოს“ მეტოქე მეოთხედფინალში — უელსის „კარდიფ-სიტი“ კარგად უნდა იყოს ცნობილი საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულთათვის. ეს ის გუნდია, რომელიც 1945 წლის ცნობილი ბრიტანული ტურნეს დროს დიდი ანგარიშით დაამარცხა მოსკოვის „დინამომ“ — 10:1.

[illegible]

პელეს სიმღერები

ბრაზილიაში გასული თვის სენსაცია იყო ამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის პელეს სიმღერები. „სანტოსის“ ფეხბურთელმა რამდენიმე სიმღერა მიუძღვნა თავის გოგონას, რომელიც ერთი წლის გახდა, და მეგობართა დაჟინებით ფირფიტაზე ჩაწერა ისინი.

სიმღერები წარმატებით სარგებლობს იმიტომ, რომ მათი ავტორი და შემსრულებელი პელეა. ამას გარდა, მელოდია მართლაც შესანიშნავია.

ხელყუმბარით... სტადიონზე

„ჩელსის“ 17 წლის გულშემატკივარს ა. კავანას ჯიბიდან სამართებელი ამოუვარდა იმ დროს, როცა მისი გუნდი „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ თამაშობდა ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატში.

ასეთ შემთხვევებში მაყურებელს ერთი წლით ეკრძალება სტადიონზე დასწრება. მაგრამ კავანა მხოლოდ სამართებლით როდი იყო შეიარაღებული. პოლიციაში გამოირკვა, რომ მას პატარა ხელყუმბარაც ჰქონდა თან და სტადიონზე ირგვლივ მსხდომ მაყურებლებს აშინებდა.

17 წლის „გულშემატკივარი“ 3 თვით გაიგზავნა ციხეში.

მხოლოდ ძილი შერჩა

შოტლანდიელების სიძუნწეზე ლეგენდებს ჰყვებიან. ქვემოთ მოყვანილი მაგალითიც ამაზე ღაღადებს: ვინმე ფილიპ მაკფეილმა განიზრახა უფასოდ დასწრებოდა ფეხბურთის მატჩს. პარასკევს საღამოს იგი სტადიონზე მივიდა იმ გადაწყვეტილებით, რომ შაბათამდე იქ დარჩენილიყო და მალე ერთ-ერთ ტრიბუნაზე ჩაეძინა კიდეც. ღრმა ძილიდან მაკფეილი ჩაქუჩის კაკუნმა გამოაღვიძა — სტადიონის თანამშრომელი ცნობას აკრავდა: მატჩი ერთი კვირით გადაიდო.

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘ
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ...

▲ **პარიზი.** საბოლოოდ დადგინდა გრენობლის თეთრ ოლიმპიადაზე ჰოკეისტთა ტურნირის მონაწილე 16 გუნდი. „ა“ ჯგუფში გამოვლენ: სსრ კავშირის, შვეციის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, აშშ-ს, ფინეთის, გდრ-ისა და გფრ-ის კოლექტივები; „ბ“ ჯგუფში — პოლონეთის, რუმინეთის, ნორვეგიის, იუგოსლავიის, იტალიის, ავსტრიის, იაპონიისა და საფრანგეთის გუნდები.

▲ **მარსელი.** საფრანგეთმა წინადადება წამოაყენა 1969 წელს ამ ქალაქში გაიმართოს ამერიკისა და ევროპის ქვეყნების მძლეოსანთა II საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის სესიაზე, რომელიც გაისად ბრიუსელში ჩატარდება.

▲ **ლონდონი.** მძლეოსნურ კროსში ინგლისის ჩემპიონის სახელი და მასთან ერთად სან-პაულუს საახალწლო კროსში სასპარეზო საგზური მოიპოვა დ. ტეილორმა.

▲ **ჩიკაგო.** 10 კილომეტრზე მძლეოსნურ კროსში აშშ-ის ჩემპიონი გახდა კ. მური — 30.08,8. მურის გარდა სან-პაულუში წავა გ. ლინდგრენიც, რომელმაც ყველას აჯობა სტუდენტ-კროსმენთა შეჯიბრებაში.

უკანასკნელი საათი!

◆ **კლუჟი, 19 დეკემბერი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალის განმეორებით მატჩში ბუქარესტის „დინამოს“ წყალბურთელებმა სძლიეს იტალიის „პრო რეკოს“ — 9:6. ვინაიდან პირველი მატჩი რუმინელებმა ბურთების ნაკლები სხვაობით (3:5) წააგეს, ამიტომ ისინი ფინალში გავიდნენ, სადაც იუგოსლავიის „მლადოსტს“ შეხვდებიან.

◆ **[illegible] (შვეცია), 19 დეკემბერი.** ბიატლონში მსოფლიოს ჩემპიონმა, ნოვოსიბირსკელმა ვ. მამატოვმა ყველას აჯობა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში — 1:05.46. პირველ ოთხეულში მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენები აღმოჩნდნენ: ლენინგრადელი ნ. პუზანოვი (1:05.50), მოსკოველი ვ. გუნდარცევი (1:07.25) და კიეველი ი. სუროვცევი (1:08.02). V ადგილზეა ხ. ულსონი (შვეცია).

◆ **ბრისბენი, 19 დეკემბერი.** ცნობილმა ამერიკელმა სპრინტერმა, ზანგმა ტ. სმითმა, რომელიც ახლა ავსტრალიის სტადიონებზე ასპარეზობს, აქ 220 იარდი 20,6 წამში გაირბინა — 0,3 წამით „გაუსწრო“ „მწვანე კონტინენტის“ რეკორდს და მის ავტორს — გ. ედის.

◆ **[illegible], 19 დეკემბერი.** ბელგიის ამ პატარა ქალაქის შემოგარენში გამართული საერთაშორისო მძლეოსნური კროსი მოიგო სახელგანთქმულმა გ. რულანტსმა — 7 კმ მან გაირბინა 19 წუთსა და 36 წამში. კროსები რულანტსისა და ევროპელ სტაიერთა უმრავლესობისთვის ზამთრის პერიოდში ვარჯიშის საყვარელი მეთოდია. რულანტსი ახლა „სან-სილვესტრეს კორიდაში“ სასპარეზოდ ემზადება. სან-პაულუს ქუჩებში ეს ტრადიციული კროსი მეტისმეტად თავისებურია და ამ მხრივ მსგავსი არ ჰყავს დედამიწაზე: შეჯიბრებას სტარტი ძველ წელიწადს ეძლევა, ხოლო მისი ფინიში ახალ წელიწადსაა.

ინგლისის ფიგურისტთა სკოლა მთელს მსოფლიოშია ცნობილი. ბრიტანეთის კუნძულებზე აღიზარდა არა ერთი და ორი უმაღლესი კლასის ფიგურისტი, რომელთა შორის არიან ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ სხვა ქვეყნების ახალგაზრდა ფიგურისტები ხალისით მიეშურებიან ინგლისს იქაურ მწვრთნელებთან სავარჯიშოდ.

უნგრელი ჟუჟი ალმაში უკვე კარგა ხანია უმაღლეს ოსტატობას ინგლისში ეუფლება. ნიჭიერმა სპორტსმენმა გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით პირველ წარმატებასაც მიაღწია: მოიგო ბრიტანეთში საკმაოდ პოპულარული რიჩმონდის თასი და ამჟამად გულმოდგინედ ემზადება გრენობლის ოლიმპიადისთვის.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ჟ. ალმაში ძვირფასი „ნადავლით“ ხელში.

ფოტო „სპორტოვეცისა“ (პოლონეთი).

გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი: „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი). გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 60:46 (37:19).

გასწორება

„ლელოს“ გუშინდელ ნომერში მეორე გვერდზე დაბეჭდილი ზედა კლიშის წარწერაში კორექტორის დაუდევრობით გაიპარა შეცდომა. წარწერის ბოლო აბზაცი ასე უნდა იკითხებოდეს: „ს უ რ ა თ ზ ე: ბაკურიანელ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი მორიგ მეცადინეობაზე. მასწავლებელი კ. მიქაბერიძე (მარჯვნიდან მესამე) სპორტსმენებს დავალებას აცნობს“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული აფიშა

კალათბურთი. სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. „ა“ კლასი. **დღეს და ხვალ:** „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (კიევი). დასაწყისი 20 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილე — 3-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04285